მოტივტივე ბაზრები

შეიძლება ბაზარი გინახავს, მაგრამ მოტივტივე ბაზრების შესახებ, ალბათ, არაფერი გსმენია. ეს ტექსტი კი ზუსტად ამაზე მოგიყვება.

აზიის ბევრ ქვეყანაში შეხვდები წყალზე მოტივტივე ბაზარს. ასეთი მცურავი ბაზრებით არის ცნობილი ტაილანდი, ინდონეზია და ვიეტნამი. იქ ადამიანები მდინარის ან არხის ახლოს სახლობენ. ზოგი სახლი წყალზეც კი დგას. მას **მსხვილ** ბოძებზე აგებენ. ბაზრებიც სახლთან ახლოს, წყალზე, აქვთ მოწყობილი და იქ ვაჭრობენ.

მოტივტივე ბაზრებს შორის ყველაზე ცნობილი არის ტაილანდის ბაზრები. ისინი ჭრელი და ხმაურიანია. მოვაჭრეები ნავებით მოძრაობენ. ქალებს **ოსტატურად** მიჰყავთ ნავები მცურავ ბაზრებამდე. მყიდველებიც ნავებით დაცურავენ. ასეთ ბაზრებში ქალები სავაჭროდ დილით ადრე გამოდიან. თავზე ჭილის ფართო ქუდები ახურავთ. რას აღარ ნახავ გასაყიდად: ხილს, ბოსტნეულს, აბრეშუმის სამოსსა და ქსოვილებს. აქ ცხელ წვნიანსა და სხვა მზა კერძსაც კი ყიდიან. ფერადი ნავები ძალიან ლამაზი სანახავია.

ნავებზე მოწყობილი ბაზრები ზოგჯერ აქეთ-იქით დაცურავს. ზოგჯერ კი ერთ ადგილას დგას. ნავები ხშირად გასაყიდი პროდუქტის მიხედვით არის დაყოფილი. ზოგი ნავი მხოლოდ ხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობს, ზოგი კი – სხვა ნივთებით. ხშირად მოვაჭრეები წყალში ერთად იყრიან ხოლმე თავს და ათას რამეზე საუბრობენ.

ასეთი ბაზრები დღეს უფრო მეტად **ტურისტების** მოსაზიდად არსებობს. ზოგი მოგზაური უცხო და უცნაურ ადგილებს ირჩევს სანახავად. მცურავი ბაზრები მათ ძალიან მოსწონთ.

რის გამო მოსწონთ მოტივტივე ბაზრები ტურისტებს?

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 აზიის ბევრი ქვეყანა ცნობილია იმით, რომ:

ა) იქ ადამიანები მდინარესთან ახლოს ცხოვრობენ.

ბ) იქ სახლებს მსხვილ ბოძებზე დგამენ.

გ) იქ ნავებზეა მოწყობილი მოტივტივე ბაზრები.

2 ტაილანდის ბაზრები ცნობილია იმით, რომ:

ა) ისინი განსაკუთრებით ჭრელია და ხმაურიანი.

ბ) მხოლოდ აქ მოძრაობენ მყიდველები ნავებით.

გ) ქალები ბაზარში სავაჭროდ დილიდან გადიან.

3 ადგილობრივები მოტივტივე ბაზრებში არა მარტო ვაჭრობენ, არამედ:

ა) თავიანთი ჭრელი ქუდებით ტურისტებს აწონებენ თავს.

ბ) სტუმრებს გემრიელ მზა კერძებს უფასოდ სთავაზობენ.

გ) ხშირად ერთად იკრიბებიან და სხვადასხვა რამეზე საუბრობენ.

4 დღეს მოტივტივე ბაზრების ძირითადი დანიშნულებაა:

ა) ვაჭრობით დაასაქმოს აზიელი ქალები.

ბ) ლამაზი სანახაობით მიიზიდოს ტურისტები.

გ) ნავები დაყოს გასაყიდი პროდუქტების მიხედვით.

5 რის შესახებ <u>არ არის</u> საუბარი ტექსტში?

ა) რატომ იზიდავთ მოტივტივე ბაზრები ტურისტებს.

ბ) რატომ უწევთ ტაილანდელ ქალებს ნავის მართვა.

გ) რისი ყიდვა შეიძლება მოტივტივე ბაზრებში.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. სახლები **<u>მსხვილ</u>** ბოძებზე დგას.

   ა) მყარ. ბ) სუსტ. ბ) სქელ.

2. ქალებს **<u>ოსტატურად</u>** მიჰყავთ ნავები ბაზრამდე.

   ა) გულდასმით. ბ) მოხერხებულად. გ) სწრაფად.

3. მოტივტივე ბაზრები დღეს უფრო მეტად **<u>ტურისტების</u>** მოსაზიდად არსებობს.

   ა) მოგზაურების. ბ) მოვაჭრეების. გ) მყიდველების.

2 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) ერთად – ცალ-ცალკე. ბ) ძალიან – მეტად. გ) ხშირად – იშვიათად.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ბინადრობს. ბ) ისვენებს. გ) სახლობს. დ) ცხოვრობს.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. ზოგიერთი მოგზაური სანახავად უცხო და (*უცნაური*) ———————————— ადგილებს ირჩევს.

2. რას აღარ ნახავ გასაყიდად: ხილს, ბოსტნეულსა თუ აბრეშუმის (*სამოსი*) ———————————— .

2 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

☒ **მოყავთ.**	☐ **მოჰყავთ.**
1. ☐ აქეთიქით.	☐ აქეთ-იქით.
2. ☐ მოსწონთ.	☐ მოწონთ.
3. ☐ ზოგი სახლები.	☐ ზოგი სახლი.

გრამატიკა

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის, რაც ცურავს – მცურავია.

1. ის, რაც ტივტივებს – ----------. 2. ის, ვინც ყიდულობს – ----------.

წერა

1 დაწერე შემაჯამებელი, ტექსტი „მოტივტივე ბაზრები“. ამისათვის გამოიყენე ტექტის გააზრებისთვის დასმული კითხვები და შენი პასუხები.

მაგალითად, დაიწყე ასე:

აზიის ბევრი ქვეყანა ცნობილია იმით, რომ... ——————————————————————

(წინადადება დაასრულე შენი პასუხის მიხედვით).

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

2 წარმოიდგინე, რომ ტაილანდში იმყოფები და მოვაჭრეებთან გასაუბრების საშუალება გაქვს. დაწერე კითხვები, რომლებსაც დაუსვამდი ადგილობრივებს. მიუწერე კითხვებს მოვაჭრეების სავარაუდო პასუხები.

მაგალითად: 1. – კმაყოფილი ხართ თქვენი საქმიანობით?

– ძალიან. მე წვნიანი კერძებით ვვაჭრობ. კერძებს აქვე, ნავზე, ვამზადებ. ყველას ძალიან მოსწონს, კარგადაც იყიდება.

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————